

როგორ შეიძლება დაეხმაროს საწარმო სკოლას მოსწავლეთა მოტივაციის ზრდაში და სამეწარმეო კომპეტენციების განვითარებაში

პრაქტიკული კვლევა საბუნებისმეტყველო მეცნიერებების სწავლების ხელშეწყობისთვის

მიზნები:

- მოსწავლეთა მოტივაციის გაზრდა
- ახალი ცოდნის შეძენა ფოტოსინთეზის და ქიმიური რეაქციის სიჩქარის შესახებ
- ახალი უნარ-ჩვევების (სამეწარმეო, კვლევითი, თანამშრომლობითი) დაუფლება და განვითარება
- საბუნებისმეტყველო საგნების პოპულარიზაცია
- პერსპექტივების გააზრება მომავალ დასაქმებასთან დაკავშირებით

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

სკოლა: სსიპ თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ ნაფარეულის საჯარო სკოლა

მასწავლებელი: ნინო სააკაშვილი

საგანი : ქიმია, ბიოლოგია

X კლასი


პარტნიორი საწარმო - ჭოტიაშვილების ღვინის მარანი



- პრე კითხვარის შევსება - საბუნებისმეტყველო საგნების სწავლის მიმართ მოსწავლეთა მოტივაციისა და მომავალი საქმიანობისთვის ამ საგნების საჭიროების კვლევა
- SWOT ანალიზი - როგორ და რა კუთხით იქნებოდა შესაძლებელი საწარმოს გამოყენება ჩვენი მიზნების მისაღწევად
- ჩანაწერების დღიური - მოსწავლეებზე დაკვირვება



- სამოტივაციო გაკვეთილი - სიტუაციური ამოცანის განხილვა
- სადისკუსიო შეკითხვა: როგორ ფიქრობთ, დასაქმების რა სფეროებში არის საჭირო ქიმიისა და ბიოლოგიის ცოდნა
- ჩემი ვიზიტი საწარმოში და ინტერვიუ საწარმოს ხელმძღვანელთან





დაკვირვების შედეგად გამოიკვეთა:

- მოსწავლეთა დაბალი მოტივაცია საბუნებისმეტყველო საგნების სწავლის მიმართ
- დაბალი ინტერესი მომავალ პროფესიასთან ამ საგნების ცოდნის საჭიროებასთან დაკავშირებით
- საწარმოს საქმიანობის გაცნობამ შეიძლება დააინტერესოს მოსწავლეები და გაზარდოს მათი მოტივაცია



სიტუაციური ამოცანა

მეათეკლასელი ლუკას ოჯახს დიდი ვენახები აქვს. ოჯახის ყველა წევრი, მეტ-ნაკლებად, ჩართულია ვენახების მოვლის პროცესში. ხშირად ამ საქმეში მუშაობსაც ქირაობენ. ზერებში მოყვანილ ყურძენს ღვინის ქარხნებს აბარებენ. ლუკას და მის დას, ოჯახთან ერთად, უნდათ, შექმნან მცირე საწარმო და თავიანთი მოყვანილი ყურძენი თვითონ გადაამუშაონ; შექმნან კონკურენტუნარიანი ღვინო და სხვა სპირტიანი სასმელები და თვითონვე მოიპოვონ პოტენციური გასაღების ზაზარი. ამასთან, საწარმოში დასაქმდებიან ადგილობრივი მაცხოვრებლები. რა ცოდნის და უნარ-ჩვევების დაუფლება დაეხმარება ლუკას და მის დას ოცნებების ასრულებაში?

- საწარმოში ვიზიტის დაგეგმვა
- კითხვარის მომზადება სტრუქტურირებული ინტერვიუსთვის




- ჩანაწერების დღიური - მოსწავლეებზე დაკვირვება
- კრიტიკული მეგობარი - ნატალია ბერიაშვილი, სამოქალაქო განათლების უფროსი მასწავლებელი
- ინტერვიუ მოსწავლეთა ფოკუს ჯგუფთან კრიტიკული მეგობრის თანდასწრებით



დაკვირვების შედეგად გამოიკვეთა:

- მოსწავლეთა მზარდი ინტერესი საბუნებისმეტყველო თემების მიმართ
- მოსწავლეებს ძალიან მოსწონთ “კეთებით სწავლება”, როლური თამაში, ექსპერიმენტები
- მხოლოდ პროცესების მოდელირებით გამოწვეული მზარდი ინტერესი გვაიმედებს, რომ საწარმოში რეალური მასშტაბური პროცესების გაცნობა კიდევ უფრო გაზარდის მოსწავლეთა მოტივაციას

- საწარმოში დაკვირვების ფურცლების შევსება და ინტერვიუ ხელმძღვანელთან (მოსწავლეების მიერ)
- გაკვეთილი - პასუხის ძიება კითხვაზე - როგორ “მიდის” მზის სხივი ყურძნის წვეთამდე?
- გაკვეთილი - ექსპერიმენტები - დუდილის პროცესის მოდელირება ქიმიის გამოყენებით
- დისკუსია - დუდილის პროცესზე, როგორც ქიმიურ მოვლენაზე მოქმედი ფაქტორები



- თანამშრომლობის გაგრძელება საწარმოსთან
- ოქტომბერში კვლევის შემდეგი ციკლის დაგეგმვა-განხორციელება
- სკოლის კუთვნილ ტერიტორიაზე რამდენიმე ვაზის მოშენება და მოვლა

